# არქეოლოგიური ექსპერტიზის ანგარიში

## 1. კვლევის მიზანი და ფარგლები

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ახორციელებს „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II-ს, კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში“. პროექტის ფარგლებში იგეგმება ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ქ. ზუგდიდის სამხრეთ-დასავლეთით, სოფ. დიდი ნეძის მიმდებარედ, ზუგდიდის ამჟამად არსებული ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე. ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელის და ახალი დაგეგმილი ობიექტის ტერიტორიის საერთო ფართობია 166,910 მ², საიდანაც, არსებული, მოქმედი ნაგავსაყრელი განთავსებულია 54,190 მ² ფართობზე, ხოლო ახალი ობიექტი მოეწყობა 112,720 მ² ფართობზე. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის საპროექტო ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოები, ხოლო ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი დასკვნის მოსამზადებლად. აღნიშნული დასკვნა წარდგენილ უნდა იქნეს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის პროცედურის ფარგლებში.

ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის საპროექტო ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის მიზნით, 2022 წლის 8 ივლისიდან 15 ივლისამდე პერიოდში ჩატარდა საპროექტო ტერიტორიის ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვა, კერძოდ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების: ხამისკურის, დიდი ნეძის და ცაცხვის მომიჯნავე ტერიტორიების არქეოლოგიური ექსპერტიზა. კვლევის მიზანი იყო საპროექტო ტერიტორიის, რომელიც მოქცეულია შემდეგი კოორდინატების ფარგლებში: Y 727 943.05 - X 4 698 565.10; Y 727 812.40 – X 4 698 345.30, Y 727 712.40 – X 4 698 082,00, , Y 727 667.60 -X 4 698 143.67, Y 727 500.60 - X 4 698 600.40, ფართობით 112,720 მ², ზედაპირის დეტალური არქეოლოგიური გამოკვლევა.

## 2. კვლევის მეთოდოლოგია

საპროექტო ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის მიზნით ჩატარდა საველე კვლევა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის და მიმდებარე ნაკვეთების მიწის ზედაპირის ვიზუალური დათვალიერება. აგრეთვე,

სამაგიდო კვლევის ფარგლებში, შესწავლილ იქნა ბიბლიოგრაფიული მონაცემები რეგიონის არქეოლოგიის შესახებ.

## 3. კვლევის შედეგები

მოცემული ტერიტორია წარმოადგენს სწორი ზედაპირის მქონე სუსტად დიფერენცირებულ ვაკეს. სქემატურად მას ტოლფერდა სამკუთხედის ფორმა აქვს, რომლის ფუძე ჩრდილოეთით არის მიმართული, მოქმედ ნაგავსაყრელს ებჯინება და სიგანეში 370 მ-ს შეადგენს, ხოლო სიგრძეში - 500 მ-მდეა. წვერი სამხრეთისაკენ არის მიმართული (სურ. 1-2), სადაც განლაგებულია არსებულ ნაგავსაყრელზე შესასვლელი კარიბჭე (სურ. 3), ადმინისტრაციული შენობა და საქმიანი ეზო (სურ. 4).

საპროექტო ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ადგილობრივი მნიშვნელობის ნაგავსაყრელად გასული საუკუნის შუა ხანებიდან გამოიყენებოდა. ამჟამად ის დაჭაობებულია და ხშირი ბალახეული საფარითაა დაფარული. ალაგ-ალაგ შეინიშნება გუბურებიც (სურ. 5-7). ობიექტს ირგვლივ აკრავს ეკლიანი მავთულებისაგან შედგენილი ღობე (სურ. 8).

**არქეოლოგიური დაზვერვითი შესწავლის შედეგად, ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტისთვის განკუთვნილ საპროექტო ტერიტორიაზე არქეოლოგიური ნიშნის მქონე ობიექტების არანაირი კვალი არ შეინიშნება.**

დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით, განხორციელდა ასევე იმ მიწების გულდასმით დათვალიერება, რომლებიც გარედან უშუალოდ ესაზღვრება საპროექტო ტერიტორიას. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილად ჩაითვალა დაკვირვების წარმოება იმ სადრენაჟე არხის კედლებზე და იქედან ამონაყარ გრუნტზე, რომელიც აღმოსავლეთიდან პარალელურად გასდევს საპროექტო ტერიტორიას. გარკვეულ მონაკვეთში 1 კმ სიგრძეზე განხორციელდა მდინარე უმჩარას/უთუორის[1] საკმაოდ ღრმა კალაპოტის დათვალიერებაც (სურ. 9), რომელიც საპროექტო ტერიტორიის უშუალოდ აღმოსავლეთით ჩამოედინება. გარდა ამისა, განხორციელდა ასევე ჩრდილოეთ და დასავლეთ მხრიდან მომიჯნავე საძოვრების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზედაპირული დაზვერვა. ვიზუალური დათვალიერებით, ეს ტერიტორიებიც არქეოლოგიური თვალსაზრისით სრულიად სტერილურია.

---

[1] ანგარიშში გამოყენებულია მდინარის ორივე სახელწოდება - უმჩარა/უთუორი (უმჩარა - როგორც მდინარე იძებნება ელექტრონულ ბაზებში და უთუორი - რომელსაც იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა.

საპროექტო ტერიტორიიდან ყველაზე ახლომდებარე არქეოლოგიური ძეგლი მის ჩრდილოეთით, 1 კმ დაშორებით სოფ. დიდ ნეძში მდებარე ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვი - დიხაგუძუბაა. ის ამჟამად სოფლის მოქმედ სასაფლაოდ არის გამოყენებული, მაგრამ სიღრმეში მდებარე კულტურული ფენებიდან ამოყრილი არტეფაქტები მიუთითებენ, რომ აქ ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაში, ანუ ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა ხანებში მძლავრი დასახლება ყოფილა გამართული.

მეორე მნიშვნელოვანი ძეგლი სოფ. ცაცხვში შესწავლილი და უკვე გამოქვეყნებული, სამეცნიერო წრეებში კარგად ცნობილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის ცაიშის სამაროვანია (პაპუაშვილი და სხვ. 2015). ის აღმოსავლეთის მხრიდან 2.4 კმ-ით არის დაშორებული საპროექტო ტერიტორიიდან.

სამხრეთიდან 2.35 კმ-ის დაშორებით მდებარეობს ასევე ცნობილი, ცაცხვის სამაროვნის ანალოგიური და სინქრონული დღვაბის სამაროვანი და ტაბაკონას სახელით ცნობილი ნამოსახლარი ბორცვი - დიხაგუძუბა (აფაქიძე 2002 : მიქელაძე და სხვ.1991).

დასავლეთით, 7-8 კმ დაშორებით, სოფ. ერგეტაში ათეულობით ნამოსახლარი და ოთხი სამაროვანია. იქ მოპოვებული მრავალრიცხოვანი არტეფაქტებიც კარგად არის ცნობილი მსოფლოს სამეცნიერო წრეებში (კუფტინი 1949: მიქელაძე და სხვ. 1982; პაპუაშვილი და სხვ. 2022).

აღმოსავლეთის მხრიდან 4.3 კმ დაშორებით სოფ. ხამისკურში მდებარეობს შუა საუკუნეებში აგებული ციხესიმაგრე, რომელიც ხალხში ცნობილია ხეთის ციხის სახელწოდებით.

გარდა ამისა, კიდევ მრავალი სხვადასხვა მასშტაბისა და ასაკის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლია დატანილი 1940 წელს ბესარიონ გოგოლიშვილის მიერ შედგენილ კოლხეთის ისტორიული ძეგლების რუკაზე (რუკა ინახება ფოთის მუზეუმში).

როგორც ვხედავთ, მრავალი არქეოლოგიური ობიექტია დაფიქსირებული ახლომდებარე სოფლების (დიდნეძი, ხამისკური, თორსა, დღვაბა, ცაცხვი, ერგეტა, ორული) სავარგულებში, მაგრამ ყველა მათგანი ერთ კილომეტრზე და მეტი მანძილით არის დაშორებული საპროექტო ტერიტორიიდან (სურ. 10-11). გარდა ამისა, გამოიკითხა ადგილობრივი მოსახლეობაც. თუმცა, მათაც ვერ გაიხსენეს გარდა

ხსენებულისა უფრო ახლოს მდებარე სიძველის ნიშნის მქონე რომელიმე ობიექტის შესახებ.

4. დასკვნები

საველე კვლევითი სამუშაოების საფუძველზე, დასკვნის სახით მოგახსენებთ, რომ ზემოთ აღნიშნული ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოსაწყობად გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორიიდან, სულ მცირე ერთი კმ-ის რადიუსში არქეოლოგიური ობიექტების კვალი ზედაპირულად არ შეინიშნება. ასევე, სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის და ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების საფუძველზეც არ დასტურდება ასეთი ობიექტების არსებობა საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში.

კვლევა ჩაატარა და ანგარიში მოამზადა:

რევაზ პაპუაშვილი
არქეოლოგი
თბილისი, ფიროსმანის 17
(+995) 599 50 82 19
revazpapuashvili@yahoo.com

გამოყენებული ლიტერატურა:

აფაქიძე ჯ., გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია თბ., 2002

Куфтин Б. А. К., археологии Колхиди I. ТБ., 1949, Стр.133-135

Микеладзе Т. К., Папуашвили Р. И. Чубинишвили Н.Т. , Колхидская экспедиция ПАИ 1986 г. ТБ., 1991. Стр. 53-65

Микеладзе Т., Мусхелишвили Д., Хахутаишвили Д. Колхидская археологическая экспедиция ПАИ 1978 г. ТБ., 1982. Стр. 43-49.

პაპუაშვილი რ., ესებუა თ., ჯიქია ლ., პაპუაშვილი ი., ცაიშის სამაროვანი., თბ., 2015

პაპუაშვილი რ., ჯიქია ლ., ქობალია ნ., პაპუაშვილი ი., ერგეტა (სამაროვნები) თბ., 2002

დანართი I - ფოტომასალა

სურ. 1 - საპროექტო ტერიტორიის ორთოფოტო



სურ. 2 - საპროექტო ტერიტორიის ხედი სამხრეთიდან



სურ. 3 - არსებულ ნაგავსაყრელზე შესასვლელი კარიბჭე



სურ. 4 - არსებული ნაგავსაყრელის ადმინისტრაციული შენობა და საქმიანი ეზო



სურ. 5 - საპროექტო ტერიტორიის ხედი აღმოსავლეთიდან



სურ. 6 - საპროექტო ტერიტორიის ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



სურ. 7 - საპროექტო ტერიტორიის ხედი აღმოსავლეთიდან



სურ. 8 - ღობე საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ



სურ. 9 - მდინარე უმჩარა/უთუორის კალაპოტი



სურ. 10 - საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ განლაგებული მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ობიექტები



სურ. 11 - რეგიონის არქეოლოგიური ძეგლების სიტუაციური გეგმა

